ოქმი:**ო08. 3726288001**

თარიღი:**15/10/2026**

ოქმი № 14

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის სხდომის

2026 წელი, 13 ოქტომბერი

ქ. ოზურგეთი

15:00-15:30 საათი

თავმჯდომარეობდა: ბექა თოიძე-მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ნ.ურუშაძე, ზ.სალუქვაძე, ზ. მორჩილაძე, ლ. კვაჭაძე, დ. ასათიანი, მ. ცქვიტიშვილი, დ. თოიძე, ლ. ქვილორია.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე-დ. კიკვაძე , მოადგილე-ტ. აროშიძე და ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარე-ქ. ხომერიკი.

სხდომის თავმჯდომარემ ბ. თოიძემ კომისიის წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

.„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ოზურგეთში, ე. თაყაიშვილის ქუჩაზე მდებარე 1194.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ N26.26.52.697) სახელმწიფოსათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ”-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე.

მომხსენებელი: ბ. თოიძე

თანამომხსენებელი: თ. ბაქანიძე

მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარემ ბ. თოიძემ კომისიის წევრებს მოკლედ გაცნო დღის წესრიგის საკითხი. განკარგულების პროექტი კომისიის წევრებს გააცნო და საკითხზე ვრცელი ინფორმაცია გააკეთა თანამომხსენებელმა თ. ბაქანიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ ეს არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი გადაეცემა სახელმწიფოს შემდგომში რეაბილიტაციის ცენტრის მშენებლობისათვის. ინფორმაციის მოსმენის შემდეგ სხდომა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში. საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ დ. კიკვაძემ დასვა შეკითხვა-ნაკვეთი რატომაა წარმოდგენილი ორ ნაწილად? განუმარტეს, რომ ერთი

სახელმწიფო საკუთრებაა, რომელსაც არ სჭირდება მუნიციპალიტეტის თანხმობა, ხოლო მეორე მუნიციპლური საკუთრებაშია, რომელის განკარგვაზე საკრებულოს თანხმობაა აუცილებელი. საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარემ ქ. ხომერიკმა იკითხა-ნაკვეთის შერჩევისას გათვალისწინებული იყო თუ არა მოსახლეობის აზრი? განუმარტეს, რომ არსებული კანონმდებლობა არ ითხოვს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის განკარგვისას მოსახლეობის აზრის გამოკითხვას. განსაკარგავი ნაკვეთი ემიჯნება ძირითადად სხვადასხვა ორგანიზაციებს, ამასთან მოთხოვნა შემოსულია კონკრეტულად აღნიშნულ ტერიტორიაზე, ამდენად ალტერნატიული მიწის ნაკვეთის შეთავაზება გამოირიცხა. კომისიის თავმჯდომარემ ბ. თოიძემაც დასვა შეკითხვა-მოეწყო თუ არა მოსახლეობასთან შეხვედრები? განაცხადა, რომ მიმდებარედ არის მინი სტადიონი, ადამიანების თავშეყრის ადგილია, ამასთან აქვს ინფორმაცია, რომ მოსახლეობის სურვილია მიმდებარე ტერიტორიაზე დასასვენებელი სივრცის მოწყობა. უპასუხეს, რომ მოსახლეობასთან შეხვედრა არ ჩატარებულა, კანონი ამას არ ითხოვს. საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ ტ. აროშიძემ განაცხადა, რომ მისასალმებელია რეაბილიტაციის ცენტრის ქალაქის ცენტრალური ნაწილიდან გარეუბანში გადატანა. საბოლოოდ კომისიის წევრებმა იმსჯელეს საკითხთან დაკავშირებით და მიზანშეწონილად მიიჩნიეს მისი საკრებულოს სხდომაზე წარდგენა განხილვა-დამტკიცების მიზნით.

გადაწყვიტეს:

სხედომის დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხი განხილვა - დამტკიცების მიზნით შეტანილ იქნას საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

ბექა თოიძე

აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი